ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №319335

ნომერი: AR168768

თარიღი : 24.07.2012

გაცემის თარიღი : 21.08.2012

გაცნობის თარიღი : 22.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ცენტრალური ისანი-სამგორი , ნაკვეთი 01/154 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან პატარაია პ/ნ 01009002270
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 6 ბ. 41

ორგანიზაცია:
- შპს "ლეპა" კოდი: 205256042

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის 2010 წლის 21 ივლისის #1081 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 24 ივლისს განცხადებით მომართა შპს „ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“–ს მინდობილმა პირმა ლევან პატარაიამ და მოითხოვა #1081 (21.07.2010წ.) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2010 წლის 21 ივლისს ქ. თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში (ნაკვეთი #01/124) საკონტეინერო ტერმინალის აშენების მიზნით გაიცა #1081 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 42095 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.19.21.001.124. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით (ამონაწერის რეგისტრაციის #882012343200, მომზადების თარიღი 17.07.2012წ.; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882012343213; საკადასტრო კოდი: 01.19.21.001.124) ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი შემცირებულია და დღეის მდგომარეობით შეედგენს 42030 კვ.მ.–ს საკადასტრო კოდით: 01.19.21.001.154.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან საპროექტო ობიექტი მშენებარეა და არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირებასა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 21 ივლისის #1081 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 42030 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს № 01.19.21.001.154;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 21 ივლისის #1081 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის #882012343200, მომზადების თარიღი 17.07.2012წ.; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882012343213; საკადასტრო კოდი: 01.19.21.001.154);
3. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 21 ივლისის #1081 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.